# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 692

დამატების № 124

კვირა, 9 ოქტომბერი 1916 წ.




შოთა რუსთაველი.

ნახ. გრ. და ლ. ჯაფარიძეებისა.



მესაფლავე ქურთი.
ნახ. მუსაევისა.

# განწირულნი

(Notati homines)

დრამა 4 მოქმედებად

(დასასრული *)

## მოქმედება მეოთხე.

მესამე მოქმედების დეკორაცია.

ვახტანგი ფერმიხდილი, იდაყვებზე დაყრდნობილი სავარძელში ზის. მისჩერებია უხმოდ ერთ წერტილს და მისი სახე შიშს, მწუხარებას და სასოწარკვეთილებას გამოხატავს. თითქოს ცოტათი მოხუცებულა. წელშიც მოხრილა. მთელი მისი არსება, გრიგალისაგან ტოტებ შემომტვრეულ მცენარეს დამსგავსებია; მცირეოდენი ხმაურობა აკრთობს. მყუდროებას მხოლოდ კედლის საათის მუშაობა არღვევს.

შემოდის ჩვეულებრივის უდარდელობით გიორგი.

**გიორგი.** დილამშვიდობის, ვახტანგ!

**ვახტ.** (შეკრთება) ა?! გიორგი, შენა?

**გიორ.** რამ შეგაშინა? რა მოგსვლია, რომ თავპირი ჩამოგტირის? რა მოხდა ისეთი? ან იქნებ ღელავ: არა? სთქვი რამე ლანდის ხომ არ გეშინიან?

**ვახტ** ხანდახან ლანდიც საშიშარია, ჩემო კარგო. (საიდუმლოკილოთი) გიორგი, მართალი მითხარ: შენ როდისმე მოჩვენება გინახავს?

**გიორ.** არა. რატომ მეკითხები? შენ ნახე თუ?!

**ვახტ.** მე... მე ვნახე წუხელი! ო-ო-ო! რა საშინელი ღამე გავატარე?!!

**გიორ.** რა ეშმაკი მოგელანდა ისეთი?

**ვახტ.** ჰმ! რა მომელანდა?! სისხლი გამეყინა; შიშის ზარმა ამიტანა და კინაღამ ჭკუიდან შევიშალე.

**გიორგი.** რაღა დღეს და რაღა ხვალ: შენ თუ აგრე განაგრძე, მართლაც შეიშლები. მაგრამ, ჯერ მითხარი რა ნახე?!

**ვახტ.** **ის** ვნახე გიორგი, **ის.**

**გიორ.** შალვა?

**ვახტ.** ა-ახ! შალვა კი არა **ის!**

**გიორ.** მიკვირს რატომ ტარტაროზი არ გელანდება. ვერ მივმხვდარვარ, რა ღმერთი გიწყრება. ყველაფერი შენ გელანდება, ყველაფრის შენ გეშინიან. როდის გახდი ასეთი მშიშარა? თავს ძალა უნდა დაატანო; ასე როგორ იქნება?

**ვახტ.** ბარემ მეც ვცდილობ, მაგრამ არაფერი გამოდის: ვერ შევძელი. რაღაცა მძიმედ მაწევს მკერდზე, სულს მიხუთავს, აზრს მიბნელებს, გონებას მისუსტებს. წელშიც კი ვერ გავმართულვარ.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 123.



პროტოპოპოვი. შინაგან საქმეთა მინისტრი.

**გიორ.** (დაჰკრავს მხრებზე ხელს და მხიარულად.) ყოჩაღად იყავ ჩემო ვახტანგ: გამხიარულდი და დარდები გადიყარე. ჩვენში კაცი მუდამ მთვრალს უნდა ჰგავდეს და მაშინ არაფერი შეაწუხებს. ასეთი სახით თამარს ნუ ეჩვენები. სულმოკლეობად ჩამოგართვეს. იმისი მაინც გრცხვენოდეს: მუდამ მხიარულია და შენ კი! ესეც რომ არ იყოს, საცაა არჩევნების შედეგი გამოირკვევა და შენ წყლიდან ამოყვანილ წიწილას დამსგავსებიხარ. კმარა, კმარა და თამამად ბ.ნო ვახტანგ!

**ვახტ.** ჩემთვის თითქმის სულ ერთია, ჩემო გიორგი, არჩევნების შედეგი.

**გიორ.** როგორ თუ სულ ერთია?! მაშ გუშინ ტყულა ვიღრიალე იმდენი?! რას ამბობ ძმაო?! რაღა დღეს გახდა სულ ერთი, თუ გუშინ არ იყო? რა მოხდა ისეთი?

**ვახტ.** (თითქმის თავისთვის.) მოხდა, მოხდა... და კიდევ შეიძლება მოხდეს...

**გიორ.** რაც მოხდება, იმას მერე ვნახავთ! შენ კი დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარხარ ჩემო კარგო.

**ვახტ.** შენ ხუმრობ გიორგი და მე კი... მეშინიან მომავალის. ვგრძნობ თავი თუ ტვინი მიმძიმდება.

**გიორ.** მაგას რაღა სჯობია: (იცინის) ჭკუა გემატება.

**ვახტ.** ეეხ! ნეტავი შენ, რომ არაფერი გაწუხებს. ნეტავი შენ რომ არ გრძნობ იმას, რასაც მე და არ გაღელვებს ის რაც მე.

**გიორ.** სცდები, როგორ სცდები ჩემო ვახტანგ! შენ გგონია, მუდამ რომ მხიარული ვარ, მუდამ ვიცინი, არაფერი მაწუხებს? გგონია იმდენი ჭკუა არა მაქვს ავი კარგისაგან გავარჩიო? გგონია არ მაწუხებს ის კითხვები, რომელიც შენ გაინტერესებს და რომლისათვისაც გინდოდა შენი სიცოცხლე შეგეწირა? ჩემო კეთილო, შენზე ხნიერი ვარ და მაშასადამე უფრო გამოცდილი. მეც შენსავით მიყვარდა ჩვენი მხარე და ჩვენი ხალხი. მისი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე, მისი სახელის ამაღლებაზე ვფიქრობდი მეც არა ერთი და ორი ღამე გამიტარებია უძილოთ და სულ ახლახან მივედი იმ დასკვნამდე, რომ სრულიად გამოუსადეგარი არსება ვარ ჩვენი ერისათვის ჩვენ უცხო ხალხში, უცხო პირობებში და ნიადაგზე ალვი-



იურტა (კარავი) ენიკეაში.
ნახ. მუსაევისა.



როტმ. არკ. მიქაშავიძე
(მეორედ დაიჭ.)



ერმალ. კალანდარაშვილი
(მოკლულია).

ზარდეთ და მაშასადამე უცხო ვართ იმ მხარისათვის, სადაც ახლა ვცხოვრობთ. (თამარი გამოჩნდება კარებში და შედგება). ჩვენ და ჩვენისთანებს ფეხქვეშ მტკიცე ნიადაგი არა გვაქვს და ნუ თუ შენ მოსთხოვ ალვის ხეს გრიგალს გაუმაგრდეს? ან გადიხრება და წყალში გადატყდება, ან და ძირიანად ამოვარდება. ეროვნული მოლვაწე, ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი, ერის წრიდან გამოსული—აი ვინ იქნება ნამდვილი გმირი ჩვენი ახალი ცხოვრების. ჩვენ უცხო ვართ სულით ჩვენი ხალხისათვის და ზიანის მეტს ვერაფერს შევძენთ. ჩვენ იმ განწირულთა დასს ვეკუთვნით, რომელიც თანდათან უნდა გაქრეს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ. აი, ეს დიდი ხანია შევიგენი და რადგან შენც ისეთსავე პირობებში ხარ აღზრდილი, გირჩევდი მოშორებოდი საზოგადო საქმეებს, იმ საქმეებს, რომელნიც უცხონი არიან შენთვის. არც ახალა გჯერა, რომ ჩემი სიცილი ქარაფშუტობის შედეგი არაა?

**ვახტ.** ღვთისგულისათვის ასეთ ლაპარაკს თავი დაანებე: ისედაც ამერია გზა და კვალი და შენ უფრო ნუ ამირევ. აქამდი ტალღებს თუ ვებრძოდი, ახლა იმისი ძალაც არა მაქვს, მის მიმდინარეობას გავყვე. (დაინახავს თამარს და გიორგის ჩუმად). ჩუმად თამარი ყურს გვიგდებს.

**გიორ.** ა-ა-ა! ქ-ნს ჩემი სალამი! როგორის მშვიდობით გიკითხოთ?

**თამარ.** ძლიერ კარგადა ვარ, მხოლოდ მწყინს, რომ ამდენი დაიგვიანე.

**გიორ.** იქნებ ვახტანგიც ამიტომ სწუხს?!

**თამარ.** არ ვიცი, მხოლოდ დღეს ძალიან ცუდ გუხებაზეა.

**ვახტ.** (ვითომ მხიარულად.) განა ცუდ გუნებაზე ვარ?!! მე.. კარგადა ვარ, ძალიან კარგადაც.

**გიორ.** სტყუის, სტყუის ეგ შეჩვენებული! (არ აქცევს ვახტანგს არავითარ ყურადღებას და განაგრძობს.) ვიღაცა ელანდება, რიღაცის ეშინია და მთელი საათობით წუწუნებს.

**თამარ.** მართლა? მერე მე რატომ არ მეუბნები?

**ვახტ.** არა, გიორგი ხუმრობს... თუმცა გუშინდელი...

**თამარ.** (აწყვეტინებს.) გუშინდელი დღე, ჩემო კარგო, მოსაგონარი არ არის. (საყვედურით) არც კი გრცხვენია!!

**გიორ.** მეც მაგას არ ვეუბნები?!!

**თამარ.** კმარა ამის შესახებ. (ვახტანგს ალერსით) არაფერი გამაგონო კი!! (გიორგის) არჩევნების არაფერი შეგიტყვია?

**გიორ.** ჯერ არაფერია; მაგრამ 12 საათზე მგონია ყველაფერს გავიგებთ.

**ვახტ.** (შეკრთება) თორმეტ საათზე?

**გიორ.** დიახ, 12 საათზე და მალე შეგატყობინებთ პირადად მე, რომ ვახტანგი არჩეულია მეთქი.

**თამარ.** სამახარობლო ჩემზე იყო.

**გიორ.** ე. ი. ახლა უნდა წავიდე არა?

**თამარ.** ოღონდ მალე კი დაბრუნდი.

**გიორ.** ნუ გეშინიანთ: თქვენ არ მოიწყინოთ მანამდი, თორემ როცა მოვალ ერთს სიტყვას არ ვიტყვი. აბა მივდივარ. (ვახტანგს.) უამბე თამარს რაც გითხარი და მოისაზრეთ კარგად. დარწმუნებული ვარ, თუმცა თამარი ყურს გვიგდებდა, მაგრამ ყველაფერი არ გაუგონია. (ეშმაკურად.)

**თამარ.** მე, ღმერთმანი... სრულიად უკაბედი მოწმე გავხდი.

**გიორ.** მით უკეთესი... მოილაპარაკეთდა მეც მალე დავბრუნდები (გიორგის გააცილებს თამარი.)

**ვახტ.** გაშეშებულივით დგას ერთ ალაგს და არეული იცქირება აქეთ-იქით. შემდეგ სუფრას მოუჯდება და შეუგნებლად ათამაშებს ხელში ხან საფერფლეს, ხან წუმწუმის დასადგმელს და სხვ. უცებ საათი დაჰკრავს ერთს, მეორეს და მეთერთმეტეს. ყოველ ჩამოკვრაზე ვახტანგს სახე ეცვლება და თანდათან აიწევს სავარძლიდან. საათი გაჩუმდება და სცენაზე მხოლოდ მისი ჩვეულებრივი მუშაობის ხმა ისმის. კულისებში გაისმის თამარის ნელი სიმღერის ხმა. თამარი თანდათან ახლოვდება და კარებში გამოჩნდება კეკლუც პოზით. ვახტანგს აუვარდება უცებ ნერვიული ქვითინი და დაემხობა მაგიდაზე. თამარი გაოცებული გაექანება მისკენ.)

**თამარ.** ვახტანგ, ვახტანგ, ჩემო კარგო: რა დაგემართა?

**ვახტ.** მეტი აღარ შემიძლიან, თამარ...

**თამარ.** რა იყო, რა მოგივიდა გენაცვალე? ვახტანგ, შემომხედე ერთი?!! არ გინდა შენს თამარს შეხედო? (ძალათი აუწევს თავს.) ჩემო სულის დგმავ, მითხარი რა იყო: მე არ მეტყვი? (ულერსებს).

**ვახტ.** არაფერი, არაფერი ჩემო კარგო! მე კარგადა ვარ: შენ ნურას გეშინია... ისე რაღაც უცებ... დიახ, დიახ! ნერვები ამეშალა ამ უკანასკნელ ხანებში.

**თამარ.** დამშვიდდი, გენაცვალოს შენი თამრო; დაივიწყე ყველაფერი ჩემო სულის დგმავ!! რაც მოხდა, ის სიზმარი იყო, ცუდი სიზმარი შორეულ წარსულში. იგი გამოფხიზლებასთან ერთად გაჰქრა, განიავდა. მზის სხივებმა გულის დარდი გადაჰყარა და სიხარულის ფერად აავარაყა. განა ჩემს მკერდზე მიყრდნობილს სინამდვილის სიმწარე გახსენდება? განა ჩემთან ერთად, ჩემთან ახლო თავს ბედნიერად არა გრძნობ?! შენ აკი ყოველთვის ჩემში ხედავდი სიცოცხლის ძალას, ნებისყოფის ყავარჯენს და ენერგიას? დაივიწყე? ან იქნებ მე დავკარგე ის თვისება, რისთვისაც შემიყვარე?! არა? მაშ დამშვიდდი, მოისვენე ჩემო კარგო. დღეიდან ჩვენთვის ახალი ცხოვრება იწყება და ამას მომზადებული უნდა შევხვდეთ. რასაც გიორგი გეუბნებოდა მოგწონს?

**ვახტ.** მომწონს და არც მომწონს... თამარ! თქვენ არ იცით, არ იცით არა! მეშინიან, მეშინიან თამარ! დამიფარე ჩემო კარგო! ხომ მეშინიან?

**თამარ.** რისა გეშინიან ვახტანგ! ან რისგან დაგიფარო?

**ვახტ.** არც მე ვიცი: მხოლოდ მეშინიან კი... ასე მგონია, თითქოს ჭკუიდან ვიშლები... თითქოს ტვინი ინძრევა თავში... იკუმშება თანდათან... მომეკარ ჩემო თამარ: აგრე... აგრე, უფრო თამამად და მხნედ ვიქნები. აი დავმშვიდდი კიდეც. (ალერსიანად.) თამარ! ხომ ძლიერ, ძლიერ გიყვარვარ?

**თამარ.** განა თითონ არ იცი? ვერ გრძნობ, მიყვარხარ თუ არა? როგორ არ გრცხვენიან ვახტანგ! აგრე იქნება?! თავს ძალა უნდა დაატანო.

**ვახტ.** არა მაქვს, არა მაქვს ძალა ჩემო გვრიტო! ჩემო ანგელოსო! სად არის ძალა?! უძლური ვარ, უძლური ჩემო თამარ... არა? (ალერსიანად) თამარ! მე რომ ისე უცებ... მოვკვდე, შენ, რას იზამ? შენ სხვას.



ვენეზილოსი.

**თამარ.** (გულნატკენი) რა არის ღმერთმანი?!!

**ვახტ.** ნუკი გეშინიან თამარ! განა მართლა ვკვდები?.. მაგრამ ისე, ხომ შეიძლება?! ვინ იცის რა იქნება! მე ხომ გულისფრიალი მაქვს... ნერვებ აშლილიცა ვარ... ვინ იცის... იქნებ უცებ.

**თამარ.** (ტუჩებზე ხელს დააფარებს) არ გამაგონო, შე სულელო! რა დროს სიკვდილზე ფიქრია?! თუ გაგიმეორებია, იცოდე გავჯავრდები.

**ვახტ.** მართლაც გამოვსულელდი ჩემო თამარ! რას ვბოდავ თითონ არ გამეგება. რამდენიმე დღეში თითქმის დავბერდი, წელშიც მოვიხარე; აი დახე—ჭაღარაც კი გამომერია! სისუსტეს საშინელს სი-

სუსტეს ვგრძნობ. (ღიმილით) თამარ! არ შეგძულდება მოხუცებული ვახტანგი?

**თამარ.** სუ მეთქი, ჩუმად! (დაიჩოქებს ვახტანგის წინ და ხელებს წელზე მოხვევს) არ გრცხვენიან, რომ აგრე მაწვალებ?

**ვახტ.** მაპატიე ჩემო იმედო, ჩემო ნუგეშო! (თავზე გადაუსობს ხელს და აკოცებს) იცი, თამარ, რა ფიქრი მომდის ხან და ხან? მე დაწყევლილი უნდა ვიყო.

**თამარ.** კმარა მეთქი! დაწყევლილი! აგრეც რომ იყოს, განა ჩემი ლოცვა სხვის წყევლაზე უფრო სუსტია? საძაგელო!

**ვახტ.** ვინ იცის, ვინ იცის თამარ!

**თამარ.** კიდევ? ეს რა ჯიუტობა დაიწყე? (საათი დაჰკრავს ერთს).

**ვახტ.** (შეკრთება) ა-ახ! მხოლოდ ნახევარი, მხოლოდ ნახევარი საათი დარჩა...

**თამარ.** მერე რა იყო? რამდენჯერ დარჩენილა მთელამდე ნახევარი?!!

**ვახტ.** თამარ! მეშინიან! ნახევარი, მხოლოდ ნახევარი.

**თამარ.** ვახტანგ, ჩემო კარგო! ნუ მტანჯავ აგრე: რა დაგემართა? გინდა ექიმს დაუძახო?

**ვახტ.** არა, არა! განა ცუდადა ვარ? შემომხედე კარგად!

**თამარ.** თუ აგრეა, ნუ გიჟდები. ნერვები ისედაც გაქვს აშლილი.

**ვახტ.** ახლა ჭკუით ვიქნები.

**თამარ.** ყველაფერი,—კარგად გაიგონე,—ყველაფერი რაც გაწუხებდა აქამდი, ან ახლა გაწუხებს, უნდა დაივიწყო მე. სულ შენთან ვიქნები, ყოველ წუთს, ყოველ წამს შენთან: იცოდე არასოდეს არ მოგშორდები.

**ვახტ.** არასოდეს?

**თამარ.** რა გაგიკვირდა? განა ეჭვი გეპარება?

**ვახტ.** განა გამიკვირდა? არა, არა ჩემო თამარ! მაშ არასოდეს არ დამტოვებ?

**თამარ.** სიკვდილ შემდეგაც კი.

**ვახტ.** რაც უნდა მოხდეს?!

**თამარ.** არასოდეს.

**ვახტ.** რაც უნდა მომივიდეს?!

**თამარ.** არასოდეს.

**ვახტ.** რაც უნდა... ჩავიდინო... ან ჩამედინოს?!

**თამარ.** ა-რა-სო-დეს, ა-რა-სო-დეს, ა-რა-სო-დეს! არც ახლა გჯერა?

**ვახტ.** მაშ ყველაფერს მაპატიებ, თამარ?

**თამარ.** ყველაფერს, მხოლოდ ჩემს ღალატს და შეძულებას ვერ გაპატიებ.

**ვახტ.** ახ! ჩემო თამარ, ჩემო ნუგეშო! (უცებ) მაშ ვინმემ რომ მოინდომოს შენი დაჯერება, ვითომ მე ავაზაკი ვიყო, საზიზღარი ვინმე, დაიჯერებ?

**თამარ.** შენ როგორ გგონია, დავიჯერებ?

**ვახტ.** (დაბალის ხმით) არა, არ დაიჯერებ. მაშ არც იმას დაიჯერებ რაც მოხდა.

**თამარ.** მიკვირს, რომ ერთმანეთი გვიყვარს, თუ ასე ვიცნობთ ერთი-მეორეს. ნუ თუ ისეთ ადამიანად მიცნობ, რომელსაც შეუძლიან ისეთი საზიზღარი ცილისწამება დაიჯეროს? არ გრცხვენია ვახტანგ?

**ვახტ.** კიდევ მაპატიე ჩემო კარგო; ასეა, თამარ: ყოველთვის იმას ვტანჯავთ, ვინც გვიყვარს.

**თამარ.** რა სულელი ხარ ხანდახან ღმერთმანი.

**ვახტ.** ყოველთვის, ყოველთვის ჩემო! კარგო! ხა! ხა! ხა! მაშ! სულელი ვარ, სულელი!

**თამარ.** (დგება) ახლა გეყოფა ამდენი ლაპარაკი. ნუ დაიღლები.

**ვახტ.** არა მიშავს რა! ღმერთმანი! ხედავ ახლა უკეთა ვარ! დავმშვიდდი კიდეც. (უცებ) თამარ, შენ რამე საიდუმლო გაქვს?

**თამარ.** (გაკვირვებული) არ მესმის რას მეკითხები?!!!

**ვახტ.** რამეს მიმალავ?

**თამარ.** (მოხვევს ხელებს) სრულიად, სრულიად არაფერს: რასაც მხედავ, ისა ვარ. აბა რა უნდა დაგიმალო? ისიც შენ? განა შენ რამეს დამიმალავდი? იქნება?

**ვახტ.** რომ გიმალავდე?

**თამარ.** არ გეყვარებოდი! (ალერსით) არ გიყვარვარ? ჰა! გამოტყდი, სთქვი მართალი.

**ვახტ.** რომ ძლიერ, ძლიერ მიყვარდე თამარ, მაგრამ გიმალავდე, არ შეიძლება?

**თამარ.** არ შეიძლება... ჩვენს შორის დაფარული არა უნდა იყოს რა.

**ვახტ.** მართალია... დიახ, არ შეიძლება! მაშ...

**თამარ.** მიმალავ რამეს?

**ვახტ.** (თავს ძალას ატანს) დიახ თამარ, გიმალავდი: ერთი, მხოლოდ ერთი საიდუმლო მაქვს.

**თამარ.** (გაოცებული და თან შეშინებული) საიდუმლო?

**ვახტ.** (თან და თან ღელდება) დიახ ერთი, მარტო ერთი... მაგრამ ო-ოხ! ვერ ვისვენებ თამარ! მეგონა მოვერეოდი, დავსძლევდი, მაგრამ ვერ შევძელ: ძლიერ მძიმეა, ძლიერ მძიმე, თამარ.

**თამარ.** ვახტანგ! ჩემო.

**ვახტ.** დიდი ხანია ლოდად მაწევს გულზე და მოსვენებას არ მაძლევს... მაგრამ თქმის მეშინიან, თამარ.

**თამარ.** სთქვი, სთქვი... ნუ მომკალი ვახტანგ!

**ვახტ.** თამარ, შენ როგორც გიორგი, დარწმუნებული... ხარ... რომ.

**თამარ.** ჩქარა მეთქი!

**ვახტ** დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი ცილისწამებაა?

**თამარ.** (გაფითრებული) რას მეუბნები ვახტანგ?!

**ვახტ.** (ჩაიკეცება თამარის ფეხებთან) თამარ, ყველაფერი მართალია... თამარ... შალვაც მართალია.

**თამარ.** (იკივლებს და უკან დაიხევს ზარდაცემული) რა სთქვი, რა გამაგონე ვახტანგ! შენ... გამცემი... ღმერთო!

**ვახტ.** დიახ, დიახ თამარ! შევცდი, გამიტაცა გრძნობამ: უცაბედად—სიმთვრალეში წამომცდა... (უნდა მოეხვიოს თამარის ფეხებს.)

**თამარ.** (დაიხევს) არ მომეკარო!

**ვახტ.** თამარ! შემიბრალე, მაპატიე.

**თამარ.** ჩუმად, ჩუმად! ნურაფერს გამაგონებ! რა მიყავ, რა ჩაიდინე ვახტანგ! (სასოწარკვეთილი ტირილით მიდის თავის ოთახისაკენ.) რად სთქვი, რად მითხარი!..

**ვახტ.** მაპატიე თამარ! აკი ამბობდი არ დაგტოვებო?! აკი ყველაფრის პატიებას მპირდებოდი? თამარ, თამარ: შევიშლები, მოვკვდები! უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიან... მაპატიე...

**თამარ.** (თავის ოთახის კარებთან სავარძელში ჩაიკეცება) რა ვქნა ღმერთო! მასწავლე რა ვქნა?! (ტირის).

**ვახტ.** მიდიხარ? მტოვებ? თამარ! შენი სიტყვა, თამარ... ჩემო საყვარელო თამარ! ნუ... ნუ მიდიხარ! (გაიშვერს წინ ხელებს, თითქოს თამარის დაჭერა უნდა.) თამარ! შემიძულე? (ქუჩიდან მოისმის ამ დროს ხმაურობა.) თამარ! გესმის მოდიან? ყველაფერი დავკარგე თამარ! შენ რად მტოვებ მარტო? ცოდვა არა ვარ? ავადა ვარ, თამარ! მაპატიეს იმათ... მაპატიეს! გიორგის ბრალია... ხა! ხა! ხა! ხომ აგრეა?

**ხალხის ხმა.** გაუმარჯოს... გაუმარჯოს და სხ.

**ვახტ.** (წამოხტება) ჯაშუშს! გაუმარჯოს ჯაშუშს... ვაშა! (მივარდება ფანჯარასთან. ხალხი იგრიალებს.) იღრიალეთ: ვაშა! ხა! ხა! ხა! (წამოიწევს წინ და სარკის პირდაპირ შეჩერდება მაგიდასთან. საათი დაიწყებს რეკას და შემოდის შალვა, რომლის სახესაც სარკეში მოკრავს თვალს ვახტანგი.) ა-ახ! შე საზიზღარო! კიდევ აქა ხარ? (ესვრის სარკეს საფერფლეს. სარკე ტყდება) ვაშა! მოკვდა... და აი... ისიც მოკვდა! მე... მე მოვკალი... ჯერ გავეცი, მერე მოვკალ! (ხალხის ხმა ისევ გაისმის ქუჩაში.) თამარ! შენ უყვარდი და მოვკალი... გესმის თამარ! ხა! ხა! ხა! (ჯდება სარკეს არ აშორებს თვალს.)

**თამარ.** (გამოერკვევა და ვახტანგს შეხედავს.) ვახტანგ!

**ვახტ.** დიახ! მე ვარ! მე ვარ ვახტანგი?... წავიდა. . თამარი წავიდა! მომატყუა... ხა! ხა! ხა!

**თამარ.** (მივარდება) არა ვახტანგ, არა! მე აქა ვარ, ისევ შენთან! სამუდამოდ! ისევ შენთან.

**ვახტ.** მომშორდი! მომშორდი მეთქი... შალვა მოკვდა.. აი ეგე...

**თამარ.** ვერ მიცანი ვახტანგ? ჩემო სიცოცხლევ, ვახტ-ა-ა-ანგ! შემომხედე! ღმერთო ჩემო! მიშველეთ ჩქარა ექიმი! (მობრუნდება და დაინახავს უძრავად მდგარ შალვას. თამარი იკივლებს და გული წაუვა. სწორედ ამ დროს გამოჩნდება კარებში გიორგი).

**გიორგი.** ხომ გეუბნებოდით? (ვახტანგი ისევ იცინის).

**ვახტ.** დიახ, დიახ! ხა! ხა! ხა! (შალვა უხმოდ გაემართება მცირე პაუზის შემდეგ, გადაჭრის მთელ სცენას და პირდაპირ კარებში გადის. ვახტანგი ისევ იცინის... გიორგი გაოცებული დგას.)

ფ ა რ დ ა.

შოთა დადიანი.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.